ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 43

15 თებერვალი
"___" _____ 2022 წ.

ქ. თბილისი

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში შპს ,,მაზას" (ს/ნ. 401987374) მიმართ მისამართზე ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ. №22 (ს/კ. №01.10.06.001.281) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში შპს ,,მაზას" (ს/ნ. 401987374) მიმართ დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 10 თებერვლის №22.163.182 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,მაზას" (ს/ნ. 401987374) მიმართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული (2021 წლის 15 ივლისის განკარგულება №21.980.1111) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შეთანხმებული (2021 წლის 23 ივლისის განკარგულება №317) მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში, მისამართზე ქ. თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქუჩების გადაკვეთაზე; პეტრე იბერის ქ. №22 (ს/კ. №01.10.06.001.281) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში შემდეგი დამატებითი/დაზუსტებული ხელშემწყობი ღონისძიების გამოყენებაზე: - არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის

გაცემა მოხდეს ავტოსადგომების რაოდენობასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ავტოსადგომების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 26 (20 მიწისზედა/ღია და 6 მიწისქვეშა /დახურული) ერთეულით.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**